


ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმოსავლელი
და
სამხრეთ-აღმოსავლელი
ბიუროსთვის



სსსრკ



ღიღი თარღი

უტეხი ნებოთ, ფზიზელ თვალით, რკინის მარჯვენით, ფერფლად მკცველი ვერაგობის, მტრობის და შფოთის, — ფზიზელ გუშაგად დგას დევგმირი არმია ჩვენი, ფზიზელ დარაჯად დგას საბჭოთა საზღვაო ფლოტი.

დიად სამშობლოს ზღვას და ხმელეთს — ხანძრების მნახველს, მათი უკნობი ვაჟკაცობის ნათელი მოხაგს, ვაშა დევგმირებს, მათ უძღვევდ საქმეს და სახელს, მუდამ წინ უძღვის უენების და მშვიდობის დროშა!

ნ ი ა ნ ბ ი

გზა წინაშე



ათას ცხრაას ოცდაერთი წელი
 ოცდახუთი თებერვალი, დიდ ოქტომბრის ძმადნაფიცი
 თარიღია—დროთა თვალი,
 ვინც დარეკა ოქროს ზარი
 საქართველოს მზიან ცაზე
 და სამშობლო დააყენა
 აღმავლობის დიად გზაზე,
 დაეგეკადა, ოცდაჩვიდმეტ
 წელიწადში შედგა ფეხი
 და დევგმირულ ნაბიჯებით
 წინ მიუძღვის წელთა გრეხილს!
 თვალს მოაველებ განვლილ დღეებს,
 სიამაყე დგება გულში,
 რომ ამ დღეებს გაუვლიათ
 მშენებლობის სიხარულში!
 და რაც წინათ, მთელ თაობებს
 უნატრიათ გულის გზნებით,
 ქცეულა დიდ სინამდვილედ
 შემოქმედი ხალხის ნებით:
 მზეს წყვდიადი დაუმხია,
 გაფურჩქნილა მიწის მკერდი
 და გაშლილა ზურმუხტები,
 ხვერდი და ოქრომკედი!
 თვალი ვეღარ სწვდება ბალებს,
 ჩუქურთმებს და სასახლეებს,
 მარმარილოს მაღალ თალებს,
 რკინის მკლავებს—მძლეთამძლეებს,
 რუსთავს ნადნობ ფოლადის ჩქერს,
 ქუთაისურ ავტოს გუგუნს,
 უთვალავ ჰესს, უღვეველ შუქს,
 მზესავეით რომ ჰფანტავს უკუნს,
 მადანს — ოქროდ დახვავებულს,
 მოშრიალე მკვრივ თაველებს,
 ნარინჯიან, მტევნებიან,
 ყლორტებიან ზურმუხტ ველებს!
 უთვლელ დოვლათს არ აქვს ბოლო,
 ავსებულა გული მზითა,
 მიდის წლები და სამშობლო
 წინ ისწრაფვის დიდი გზითა!
 ვინ დაჩრდილოს ეს დიდი გზა,
 ვინ გაფინოს მასზე თალხი,
 ვინა სცადოს შეაჩეროს
 ისტორიის დიდი ჩარხი?
 განა ერთი ავის მდომი
 დაანიწა ჩვენმა წინსვლამ,
 განა ერთი გარეწარის
 შავი ნატვრა დაინისლა
 და ხელების დამოკლებმა
 განა ერთს და ორს დასჭირდა,
 სანამ მტერი საბოლოოდ
 არ დარწმუნდა, არ გაკვირდა,
 თუ რა უტეხ-უძლეველი,
 თუ რა მტკიცე, როგორც რვალი,
 თვე გამოდგა დიდ ოქტომბრის
 ძმადნაფიცი თებერვალი!

ზარსაღანი

აღსარება

ხელი შევუწყოთ ნიჭიერი ახალგაზრდა, შუახნის და მოხუცი მწერლების გამოვლინებას.

(ყდლის ვახუთებიდან)

აი ვზივარ თავდახრილი საწერ მაგიდასთან, როგორც ეს ნიჭიერ ლიტერატორს შეჰფერის, და ვისწინ ამინდის ბიუროს ცნობას:

— მოსალოდნელი ამინდი ხვალისათვის თბილისში: ცვალებადი მოლრუბლულობა, მცირე, ან ბევრი ნალექით, წვიმა—მტკვრის ხეობაში ეუ-ეუნა, შხაპუნა, ან თქვენი, ელქექისა და მეხის თანხლებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩრდილო-დასავლეთის სუსტი, ზომიერამდე ძლიერი, ქარი. მთიან რაიონებში—დღისით მეწყერი, ღამით ნიაღვარი, დაბლობ რაიონებში—დღისით ნისლი, ღამით თოვლი, ან ბურუსი. ტემპერატურის მერყეობა—3-დან 40 გრადუსამდე.

ალბათ ასე გააფრთხილა მამაზეციერმა ნოე, წარღვნის წინ და იხსნა კიდევაც ადამიანთა მოდგმა გადაშენებისაგან.

მადლობა მას და ჩვენს ამინდის ბიუროს. შესაძლებელია ასეთი ამინდის დროს შთამომავლობას უკეთესად დაეკარგოს ნიჭიერი ადამიანი. ნეც სწორედ ამიტომ ვწერ ამ ავტობიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურულ აღსარებას. დაე, შთამომავლობამ განსაჯოს ვინ ვარ მე!

ჩემი მშობლების სასახლეოდ უნდა ითქვას; რომ დავიბადე 1928 წელს, ქ. თბილისში. ჩემი დაბადების აღსანიშნავად მამას თოფი უსვრია, შემდეგში მუდამ წანობდა—რატომ შუბლში არ მოვარტყიო. ბავშვობაში, როგორც ყველა, მეც მიამიტი ვყოფილვარ. განსაკუთრებით გაოცებული ვიყავი ჩემი ალგებრის მასწავლებლის წინასწარმეტყველური ნიჭით, როდესაც იგი აღრე გაზაფხულზევე მეუბნებოდა:

— შენ ჩემს საგანში საშემოდგომო გამოცდა გამოგყვება!

ეს წინასწარმეტყველება ყოველთვის საოცარი სიზუსტით მიხდებოდა. მეექვსე კლასში მყოფმა უშეტდომოდ ვისწავლე ვალაქტიონის ლექსი „გული, ოცნებას მალავ“ და მხატვრულად წავუჟიოთხე ქართული ენის მასწავლებელს.

— ვინ დასწერა ეს ლექსი? — იღუმალი ხმით მკითხა მან.

— მე, პატივცემულო მასწავლებლო!

მასწავლებელი მომიახლოვდა, გულში ჩამიკრა და მხრები აუკახცხდა. იგი სტიროდა.

— ბარაქალა, საქართველო! ახლა კი მჯერა, ვაჟას, ილიას და აკაკის ჩანგი არ დაობლებულა, იგი საიმედო ხელს უჭირავს!

ამის შემდეგ მე ილიას, ვაჟას და აკაკის ჩანგისათვის ხელი არ გამიშვია. ასე გამოვედი სამწერლო ასპარეზზე. 25 წლის ასაკში ამომივიდა სიბრინის კბილი. აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობა. ამ ასაკიდანვე დავრწმუნდი, რომ ლიტერატურისათვის ვიყავი დაბადებული და გადავწყვიტე ჩემი ნიჭი მსხვერპლად შემეტანა ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურში. მომყავს ფრაგმენტები ჩემი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიდან.

ფრაგმენტი გამოუქვეყნებელ რომანიდან: „მტკიცე ნებისყოფის ნქონე ადამიანები“:

„ორგანიზაცია „ტყის მეგობრის“ აქტივის კრება მძაფრი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. სიტყვა აიღო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ტარასიმ.

— ანხანაგებო! არ შემიძლია სირცხვილის გრძნობით არ აღვნიშნო, რომ ბავშვობაში ხშირად დამიმტერვია ხის ტოტები.—დარბაზში უკმაყოფილო ჩოჩქოლი გაისმა.

— მაგრამ მე საზეინო პირობას ვდებ, რომ პატიოსანი შრომით ჩამოვირეცხავ წარსულის ამ სამარცხენო ლაქას.

— ვერ გაპატიებთ ბნელ წარსულს! — აბობოქრდა ხალხი. ტარასი მოკვეთილი ტოტივით დაეშვა სკამზე.

სიტყვა აიღო ორგანიზაციის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. დომენტიმ.

— ანხანაგებო, — დაიწყო მან ჩუმად, მაგრამ ყველას გასაგონად. უცებ კრებაზე დამლაგებელი შემოვარდა და ამხ. დომენტის ბარათი გადასცა. ამხ. დომენტიმ ბარათი გახსნა, გადაიკითხა და ყბა მოეგრა.

— რაშია საქმე?

— მეუღლე უკვდება!!!

აქტივი წამოიშალა. ანხანაგმა დომენტიმ არაადამიანური ძალით, როგორც ეს მხოლოდ ასეთ პიროვნებებს გააჩნიათ, გრძნობა—გონებას დაუმორჩილა, ლოყაზე დაგორებული ცრემლი განსაკვიფრებელი სისწრაფით ჩამოიბურტყა საჩვენებელი თითით, და ფოლადის ხმით, რომელსაც ოდნავ ბზარი შეჰპარვოდა, დაიქუხა:

— დასხედით, ჯერ კრება არ დამთავრებულა!!!

— ანხანაგო დომენტი, რა დროს კრებაა, როცა მეუღლე...

— მე ვთქვი, კრება არ დამთავრებულა!—გაიმეორა დომენტიმ.

ამჯერად მის ფოლადის ხმას ბზარი აღარ ეტყობოდა“.

ოზიანიანის „ნოვატი“

თბილისის რესტორნებში არ იყიდება უმაღლესი ხარისხის სამარკო ღვინოები.

ნახ. გ. ფირცხალაძის



— მე ხვანჭკარა გთხოვეთ, თქვენ კი 5 ნომერი მოგაქვთ!

— ხამაგიეროდ ღიმონათიც მოგართვით, შეურიეთ და ხვანჭკარა გამოვა.

ფრაგმენტი გამოუქვეყნებელი საბავშვო ლექსიდან: „თამაზის ოცნება“:

„როცა დიდი გავიზრდები, ქალაქისკენ წამოვალ, გეპეში შევალ და იწყებინი გამოვალ. მერე სოფლად დავბრუნდები, ბებო ლხენით იწვივლებს, და სალორეს ავუშენებ ჩემ საყვარელ წიწილებს“.

ამ ლექსით, პირველმა ლიტერატურის ისტორიაში, მე გავილაშქრე ახალგაზრდა კადრების ქალაქად დარჩენის მანკიერი სურვილის წინააღმდეგ და თამამად გამოვთქვი აზრი კადრების შორეულ რაიონებში განაწილების შესახებ. მაქვს კიდევ უამრავი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, რომელთა შინაარსი შორს წაგვიყვანს და ამიტომ მხოლოდ სათაურებს მოგახსენებთ: რომანი—„ცხოვრება ფუნქიკულორია, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის“, ნარკვევი—„ბავშვის ფეხსაცმელი არა გაქვთ?“, სათავგადასავლო რომანი—„თათრის მოედანზე იყავი?“, ტრაგედია—„მე ვწუე პრიმას“, კომედია—„ქალიშვილს გაჭრილ კაბაში კანჭი მოუჩანს“, ბულვარული რომანი—„წელს გაგრაში მივდივარ“, დეტექტიური რომანი—„უჩანგავი ფოლადის დანამ ვერ გასჭრა ხორცი“ და სხვა.

მაგრამ ეს საგანძური მწერლობაში გავრცელებული ბიუროკრატიზმის, კანცელარაშინისა და ბიძაშვილ-მამიდაშვილობის გამო ჯერ კიდევ უცნობია ფართო მასებისათვის. შური, აი რა გვლუბავს ჩვენ, მაგრამ მე არ შემიძლია ყველა შურიანს არ მიემართო მაიაკოვსკის უკვდავი სტრიქონებით: „წაიკითხე და გასკდით ჭიპზე!“ (თარგმანი ჩემი).

ნუთუ მე, ამდენი ნაწუშევი კაცი, ერთი პატარა იუბლეს ღირსი არ ვიყავი, ნუთუ ლიტერატურის ყველა ჟანრით გატაცებულს ერთი იუბლიე ოპერაში არ მეკუთვნოდა? რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მაინც მოეცათ, რამეთუ მრავალი წლის მანძილზე დაუზარებლად ვასრულებდი მწერლის საპასუხისმგებლო როლს.

მაგრამ რა, არაფერი. სირცხვილი შემოქმედებითი კავშირების პასუხისმგებელ პირებს!



— ეს კონფერანსი ჩემი ძველი ნაცნობია.
— ჩემთვის კი მაგის რეპერტუარია ძველი ნაცნობი.

მოძველებული პრობლემა

ჩემს მიერ გამოქვეყნებულმა ნარკვევმა „მოძველების სურათები“ მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მიღებულია მრავალი წერილი და შეკითხვა, სადაც ავტორები გვთხოვენ განვმარტოთ მოძველების ზოგიერთი პრინციპული საკითხი. ვასრულებ მათ თხოვნას.

მკითხველთა დიდი ნაწილი დაინტერესებულია მთვარეზე სააგარაკო მიწის ნაკვეთის მიღებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კოსმოსის ორ ვადაუტრულ ამოცანას (დრო, სივრცე) ეს მესამეც შეემატა, რადგან მთვარეზე მიწის სიმცირის გამო ძნელია ყველას სურვილის დაკმაყოფილება. გამოირკვა, რომ მიწის ნაკვეთს უპირველეს ყოვლისა, მიიღებენ ის პირები, რომლებსაც სამსახური საშუალებას არ აძლევს ზაფხული გაატარონ საკურორტო პლანეტებზე — ვენერაზე, ან მერკურზე. მიწის ნაკვეთი მიეცემათ იმ პირებსაც, რომლებიც წყნეთში ჩააბარებენ ამჟამად კუთვნილ ავარაკებს.

ამასთან დაკავშირებით, გამწვანების ტრესტის დადგენილებით, მთვარეულებს ღამლაობით, მთვარეზე სეირნობისას, სასტიკად ეკრძალებათ გაზონებში სიარული.

შედარებით ადვილი მოსაგვარებელია კერძო თვითმფრინავების შექმნის საკითხი. ამხანაგებს, რომლებსაც სურთ შეიძინონ მცირელიტრაჟიანი ატომური საპლანეტათმშობის თვითმფრინავი „ტუ-1104“, დასჭირდებათ ბეჭედდასმული ცნობა სამსახურის, ხელფასისა და საკუთარი აეროდრომის შესახებ. საპაერო ხომალდს, როგორც წესია, მიიღებს ფულის შეტანიდან სამი წლის შემდეგ. რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის რეაქტიულ თვითმფრინავებს და ვერტმფრენებს, მათი შექმნა შეიძლება ყველგან — ცეკავშირის რკინაგზა-ულობის მალაზიებში. ძველი ტიპის „მოსკვიჩით“ ივაჭრებს „ბავშვთა სამყაროს“ სათამაშოების სექცია (რუსთაველის პროსპექტი № 48).

საპლანეტათმშობის მოძრაობის დროს მტკიცედ უნდა იქნას დაცული მოძრაობის წესები, განსაკუთრებით გზაჯვარედინებზე. კოლმეურნეებს, რომლებიც პლანეტაციებში საკუთარი ვერტმფრენებით ივლიან, დაფრენისას მართებთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ ჩაის ბუჩქი არ დაზიანონ. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ „ქართული ჩაი არომატული და სასიამოვნო სასმელია“.

რეკლამებზე გამახსენდა. ახალ პირობებთან შესაგუებლად დიდი მუშაობა აქვს ჩასატარებელი რეკლამბიუროს. აი, რატომ. წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მიჭქრის ატომური ტრამვაი, კონდუქტორი ეჩხუბება ვიღაც ბავშვიან ქალს:

- ქალო, ოულე ამ ბოვუს ბილეთი!
- რა დროის ამის ბილეთია, ბალანას ჯერ კბილები არ ამოსვლია!
- ისემც რა გითხრა შენ!
- ამხანაგო, რამდენი წლისაა ბავშვი? — ჩაერია ჩხუბში კონტროლიორი.

— 47-ის გახდება კვირაობისთვის. ვინ გეიგონა ამის ბილეთი!

ღიახ, აქ გასაკვირი არაფერია, მაშინ ხომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 600 წლამდე იქნება. ამიტომ გასაკვირი არაფერია თუ ტრამვაიში წაიკითხათ: „ბავშვთა 50 წლის ასაკამდე მგზავრობენ უბილეთოდ“, კინოს ფოიეში — „ბავშვები 85 წლის ასაკამდე სალამოს სენსებზე არ დაიშვებიან“ და სხვა მრავალი.

განქორწინებაზე განცხადების გაშვება, სირცხვილის თავიდან აცილების მიზნით, შეიძლება ადგილობრივი მნიშვნელობის გახეთქი — ევიჩერნი სატურნი“.

დიდი კამათია გამართული „თეთრი დუქნის“ მომავალი გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ. როგორც აბასთუმნის ობსერვატორიის ასტრონომებთან საუბარში გამოირკვა, დუქნის ასაშენებლად ყველაზე მყუდრო, მოხერხებული და კლიმატური პირობებია უახლოეს კომეტებზე. ფიქრობენ, რომ იქვე ააშენონ სახაშეხეცი. კომეტები სისტემატურად მომარადებიან ბორჯომის წყლით, მცხეთური „პერაშკით“ და ახნეტის ხინკლით.

კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს ჭადრაკის მოთამაშე ფოლადის მანქანებმა, რომლებსაც ფოლადისებური ნებისყოფა და დიდი თეორიული მომზადება აქვთ. მალე შეჯიბრება გაიმართება არა ადამიანებს, არამედ მანქანებს შორის. ჩემპიონების პრეტენდენტებად ითვლებიან თბილისის არტელებში და მზადებული ჭადრაკ მანქანები, რომლებიც წვრთნას გაივლიან ლესელიძეში (მწვრთნელი — თ. გიორგაძე).

ქალთა შორის ყველაზე პერსპექტიულია ახალგაზრდა არგენტინული ნიჭიერი მანქანა, რომელიც სულ რამდენიმე წლისაა.

მკითხველთა ერთი ნაწილი დაინტერესებულია ალიმენტის, სახლის დაშენების, საავტორო უფლების, კადრების, დადებითი გმირის და სხვა საკითხებით, მაგრამ ვინაიდან ეს პრობლემები ჯერჯერობით დაუშუსტებელია, პასუხისაგან თავს ვიკავებთ.

რაც შეეხება ასტრონომების პრეტენზიას, რომ მათაც ეკუთვნით რკინიგზაზე მგზავნი უფასო ბილეთი, ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის და უნდა მიმართონ სათანადო ორგანოებს.

ზურაბ შანუნიძე



ნახ. გ. ფირცხალავასი

სიცილის ოთახი

*მსახურს მიიღო
მიუძღვრო!*

კათალიკოსო-სამეურნეო

სასოფლო-სამეურნეო თემაზე მოწყობილი ლექციები ზშირად
ზერელე და უხარისხოა.

ნ. ლეჟავასი


კორესპონდენციებიდან
საქართველო



— რაშია საქმე? სულ ათი წუთიც არ გახულა, რაც ლექცია დაიწყო,
და უკვე გამოდისართ!
— რა გაეწყობა, სხვა გამოხავალი არ არის.

ასე ამბობენ, რომ კაცი იგი
ყველგან და მარად იყო მართალი,
ეს სწამდა მას და
სჯეროდა სხვასაც,
არა სტყუოდა არასდროს, არსად,
უყვარდა მასას,
უყვარდა მასაც.
წარმოებაში ერთხელა, აჰა,
გამოკვლევაზე გაგზავნეს იგი,
სიყალბე ნახა
და, რადგან ნახა,
შეუფერავად და პირუთვნელად,
როგორც მოითხოვს წესი და რიგი:
აღნუსხა ყველა.
„იქნება ხელი ბანოსო ხელმა!“
და იმ მუშაკმა, სიყალბის მქნელმა,
თუმც არცთუ ისე იყო ადვილი,
აქეთ უარა,
იქით უარა,
მოშიებულმა ც ვერ იუარა
და გაუმართა კარგი სადილი.
გამოიარა მერე ტყე, ველი,
მოლიდინებდა გამომკვლეველი
ხელში პორტფელით,
წარუდგა ასე თავის უფროსს და,
დახეთ,—

აქ ხელმა არ ჰბანა ხელი:
ჩამოუყაჭა სიმართლე მთელი,
მაგრამ ბოლოში, აქტის ბოლოში,
მაინც დაერთო როგორც P.S-ი



(თუმცა არც ეგრე გამოსაჩენად):

„მე ასე მესმის,
მიუხედავად იმის და ამის,
შესაძლებლად ვთვლი იქ იმ მუშაკის
ისევე დარჩენას“.

ვინ არ მიხვდება, ასეთი დასკვნა,
რომ უსათუოდ უსაფუძვლოა,
მაგრამ რას იზამ,
ენა უძვლო!

ზოგსავით როდი გადიბალახა,
გადაიკითხა უფროსმა აქტი
და გაოცებით დაალო ხახა,

გადიხარხარა:
ხა, ხა, ხა, ხა, ხა...

— ჩემმა თვალებმა რა დამანახა,
დაგიპირეო სიცრუე ნაღდი.
მართალმა კაცმა უთხრა—არაო,
უფროსო, რაღამ გაგახარაო,
სიმართლეს როდი დაგიფარავო,
ყალბში მართალი არ აურიო,
აქტი დავწერე, მაგრამ მერეო,
მაქამეს გოჭი, ხაქაპურიო,
ქაქით და ნაჭრით გაეიბერეო
და
ეს დასკვნაც მისთვის მივაკერეო.

* * *

ალიართალი, ბალიართალი,
ცოტა ტყუილი; ბევრი მართალი!

მოსი ძარჩავა

ქაჩაგული ნაკვესები

1. კაბინეტში ჩაკეტილ ბიუროკრატს მუზა მოუვიდა და სხვა აღარავინ შემო-უშვათო.
2. მობინადრეს ბინის ქირაც და სა-ხურავიც ორივე გადახდილი ჰქონდა.
3. მზარეული კატლეტსა სწავადა და მიმტანი — კლიენტებსაო.
4. ბეწვზე გადარჩენილი, ბეწვით სპე-კულაციამ დაღუპაო.
5. მოლარეები არ აბრუნებენ, თორემ ხურდა ფულიც საბრუნავი საშუალებააო.

შეადგინა გრ. ჩიქვილაძემ

ვინ რა თქვა

1. ფულმა თქვა — ბანკში მცემენ და მოლარე-გამფლანგველებთან ვტირიო.
2. ღვინომ თქვა — შოფერი მე მსვამს და მე — შოფერსაო.
3. ქმარმა თქვა — ობლიგაცია მიგებს და ცოლი—ვერაო.
4. ვენახმა თქვა — ყურძენს ვისხამ, ღვინომა თქვა — წყალსაო.
5. შინაბერას უთხრეს — მემანქანედ გნიშნავენო, და — ნეტავ მემანქანეზე მნიშ-ნავდნენო.
6. ქმარს — მდივანი ქალი მოუვიდა და ცოლს — გულიო.
7. სპეკულანტმა კითხა ამხანაგს — სიზმარში გველი ს დაქერა რას ნიშნავსო და — სწორედ ზავასაო.
8. ღვინომ უთხრა გარდაცვლილ მელვინეს — სიცოცხლეს შენ მიწყალედი და მკვდარს მე შეგიწყალეზო.

შეადგინა ვახტანგ ჯავახიშვილმა

იმ დღეს ანა მარევეის ასული მთელი სხეულით თრთოდა. ეს გასაგებიცაა. იგი პირველად მონაწილეობდა იმ დიად აქტში, რომლის აღსრულების დროს ყოველ ქალიშვილს გული უფართხალეხს. დიახ, ცნობილმა ექიმმა თანხმობა განაცხადა გახდეს ანას ქმარი. რა ვუყოთ, რომ ანა მისი შინამოსამსახურე! აქ დასაძრახისი არაფერია, მაგრამ... თუმცა რაღა დროს „მაგრამია“? მოლოტოვის რაიონის მმაჩის ბიუროში საქორწინო განცხადება უკვე ივსება: საქმრო — მალალოვი ნიკოლოზ სოლომონის-ძე, ექიმი. საცოლე — მოსინა ანა მარევეის ასული, დიასახლისი. და უცებ მმაჩის ბიუროს თანამშრომლები გაოცებისაგან ნებნაკრავივით შეშვებიან.

თურმე 1954 წლის 2 ნოემბერს, როცა ეს განცხადება იწერებოდა, საცოლე ერთი თვის შემდეგ თავისი დაბადების თთხმოცი წლისთავს გადაიხდიდა, საქმროს კი უკვე სამოცდაათ წელს მიუღწევია. თუმცა, რა მოხდა? თუ მოუხუცებს ტუბილი ცოლქმრობა ელთ, აქ გასაოცარი რა არის? ალბათ ამიტომ იყო, რომ მმაჩის ბიუროს საქმის მწარმოებელი ქეთევან ნელაძე მშვიდად და აუღლევებლად ეწვია „ნეფე-დედოფალს“ ბინაზე. საოცრებაც სწორედ აქ უნდა მომხდარიყო. ნ. მალალაშვილი უგონოდ იწვა საწოლზე. „საცოლე“ ანა სასთუმალთან იდგა. ხუთიოდე წუთში ექიმი მალალაშვილი ცოლიან კაცად იქცა და ისე გარდაიცვალა, რომ ამის შესახებ თვითონ არაფერი შეუტყვია. მართალია, მომაკვდავი აქტზე ხელს ვერ მოაწერდა, მაგრამ ამ გარემოებას არავინ დაუბნევია.

„საცოლის“ დისწულმა ვერა სუროვამ საქმროს მაგივრად მოაწერა ხელი, ხოლო საქორწინო განცხადებაზე ქ. მელაძემ „მოფიქრებულად“ ზღნიშნა: ექიმმა „წერა არ იცის“. გამოდის, რომ ნელაძე არავის გაუფრთხილებია — ექ. მალალაშვილს 40 წლის მუშაობის სტაჟი აქვს და უმაღლესის დამთავრების დიპლომი. განა გაფრთხილება კი იყო საქმრო? ალბათ საქმროა მაშინ, როცა სიხარბე, ან სხვა რამ ქვენაგრძნობა აღამიანს თვალეხს აუბამს.

აქ ერთი კითხვა გვსურს დავსვათ: ვის დასჭირდა ეს მასკარადი? რატომ შეეცადნენ ლაფში ამოეგარათ ნ. მალალაშვილის პატიოსანი სახელი? ამის გასარკვევად მცირეოდენ ექსკურსს მოვახდენთ:

ნიკოლოზ ავეტისის-ძე მაჩკალოვი დღეს 26 კომისრის რაიონის ავლაბრის ბაზარში ხორცის მწონავად მუშაობს. ადრე სად „მო-

ლვაწობდა“ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ მან 1948 წელს მეზობლებს სამზარეულო წაართვა და ოთახად გადაიკეთა. და რაკი მაღა კამაში მოდის, ერთ დღეს მაჩკალოვი მოლოტოვის რაისაბინაო სამმართველოს ყოფილ უფროს შულაროვთან გამოცხადდა:

— გესმის? კლარა ცეტკინის ქუჩაზე რომ ექიმი კვდება, იმის ბინა მე მომეცით! შულაროვმა მხრები აიჩჩა.

— ვაჰ, რად გიკვირს? იმ ექიმთან ჩემი ცოლის დეიდა მუშაობს, იმან მითხრა, კვდებაო.

— ბინა ქალაქის საბჭოს დარჩება! — ცივი წყალი გადაასხა შულაროვმა, მაგრამ მაჩკალოვი ძველი ნაწრთობია და ცივი წყალს აგრე რიგად არ უფრთხის.

— თუ მალალაშვილი თანახმაა თავის ბინაში გამწეროს, შენ რა დავა გაქვს? — დასძინა მან.

— ბრიყვი მნახე? — ჩაიციხა შულაროვმა. — თანხმობას როგორ გაძლევს, კაცი გონებდადაკარგული წევს!

— შენგან არ მიკვირს? გონება რომ არ დაჰკარგოდა, ბინას მე ვინ მაპოვნინებდა?

ამ უბრალო სიტყვამ შულაროვისა და მაჩკალოვის გული ერთმანეთისათვის გააღო. და რადგან არც ერთს გონება არ დაჰკარგოდა, ორივემ საქმე ისეთი სისწრაფით წაიყვანა წინ, რომ ყველას, ვინც კი ოდესმე შულაროვთან განცხადებით მისულა, უდავოდ შეშურდებოდა მაჩკალოვის ბედი. მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ რეზოლუციები. და აი, 1954 წლის 20 ივლისს შულაროვმა ერთი ვრცელი მიმართვა სიცრუით გატენა და იმავე დღეს მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს ვ. ჭავჭავანიძეს მიართვა. ამანაც მიმართვა საკუთარი ხელწერით გაამყარა და იმ დღესვე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს კ. ბუჯიაშვილს ჩაურბენინეს. ამ მიმართვისა და განგების ძალით შინამოსამსახურე ანა მოსინა ექიმ მალალაშვილის „გაუფორმებელი ცოლი“ გახდა, მაჩკალოვი — მალალაშვილის შორეული ნათესავი, ხოლო ეს ახალმოვლენილი „ნათესავი“ მალალაშვილის ბინაში უნდა გაეწეროს.

თბილისის საბჭოს საბინაო განყოფილებაში საქმე ასწი-დასწიეს და ახალი უცნაურობებით გაავსეს: 10 აგვისტოს № 64 სახლმმართველობა აგზავნის ცნობას. და თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, ანა მოსინა მალალაშვილის ცოლის ბიკოლა ყოფილა (აქ სახლმმართველი ნ. მალალაშვილის პირველსა და ერთადერთ კანონიერ ცოლს გული-

სხმობს — შატლოვას ქალს, რომელიც ანა ვაკხანალიანდეს სამი თვით ადრე გარდაიცვალა. მაშასადამე, მოსინა შატლოვას ბიკოლა ყოფილა). ზუსტად ორი დღის შემდეგ უცნაურობა კულმინაციას აღწევს: საბინაო განყოფილების უფროსი ინსპექტორი ტატანაშვილი მოხსენებით ბარათს მიართმევს თავის უფროსს მუსერიძეს. ამ ბარათის ძალით და ტატანაშვილის სასწაულმოქმედებით მალალაშვილს ერთბაშად შეეძინა ხუთი ახლო ნათესავი — ცოლისდა ტატანაშვილი მაჩკალოვა, ცოლისდის ქმარი — ნ. მაჩკალოვი, ორი ცოლისდის შვილი — ვიოლეტა და სერგო მაჩკალოვები და... ცოლის დეიდა ანა მოსინა, რომელიც ორი დღის წინ ბიკოლა იყო.

განა უდიდესი სასწაულმოქმედი ქრისტე ამაზე მეტს მოიმოქმედებდა?

კურობმა უმაღლეს მწვერვალს მაშინ მიაღწია, როცა ნ. მაჩკალოვმა ზემოაღწერილი საქორწინო კომედია გაითამაშა და მალალაშვილის ცოლის დეიდად თუ ბიკოლად გასაღებული ანა მოსინა მალალაშვილზე „დააქორწინა“.

აი რისთვის დასჭირდა მაჩკალოვს მასკარადი. ამ აქტის ძალით მაჩკალოვმა დაისაკუთრა მალალაშვილის სამოთახიანი ბინა, ანა მოსინამ — „ქმრის“ პენსია 628 მანეთით თვეში. განა ქება არ ეთქმის იმ დოკლაპიებს, ვინც მაჩკალოვს ამ დიდი ლუკმის ჩაყლაპვაში დაეხმარა? თუმცა ამბობენ, ექიმ მალალაშვილს იმდენი ქონება დარჩა, რომ დროს გარდა საყლაპავი იქ სხვაიც ბევრი იყო. მერედა, ამას ხომ პატრონი სჭირდებოდა! აქ კიდევ ერთხელ მოგვევლინა მაჩკალოვი თავისი მარიფათით.


1954 წლის 12 ივლისს მალალაშვილის ბინაზე თბილისის მეორე სანოტარო კანტორის უფროსმა მ. ი. ძლიერიშვილმა ფრთხილად დააკაკუნა. ალბათ ინიტომ, რომ ავადმყოფი არ შეეწუხებინა. მაგრამ ძლიერიშვილმა რატომღაც დაივიწყა სამსახურებრივი სიფრთხილე. ხუთი წუთის შემდეგ იქ გაფორნდა ანდერძი, რომლის ძალით ოჯახის „ნათესავი“ ნ. მაჩკალოვი მალალაშვილის უძრავ-მოძრავი ქონების მემკვიდრე გახდა.

თვით მალალაშვილი? ის ამ დროსაც უგონოდ იწვა და ისე გარდაიცვალა, რომ „მემკვიდრე“ თვალთ არ უნახავს. ანდერძზე სხვამ მოაწერა ხელი.

ასე დასრულდა ეს ბნელით მოცული „ქორწინება“, რომელსაც, ალბათ, სინათლე სასამართლო დარბაზში მოეფინება.

**გ. ზვიკინიძე
ო. კოლაშვილი**

ნ.ხ. მ. აბაშიძისა



— თუ შეიძლება, პაპიროსს მომიკიდეთ!

ნიანგი

ნაბ. გ. ფირცხალავაძე

საქართველოს
ბიბლიოთეკა

კლუბო, მუსხანისაო!



მუხრანელები ამაყობდნენ სასოფლო კლუბით. პატარა შენობაში ფართო კულტურულ-მასობრივი მუშაობა იყო გაშლილი. კარგად ემსახურებოდა კოლმეურნებს კლუბთან არსებული ბიბლიოთეკაც.

მაგრამ აი, მუხრანის სასოფლო საბჭომ უფრო დიდი გასაქანი მოისურვა და დაიწყო კულტსახლის მშენებლობა. ეს მოხდა 1955 წელს: კლუბის გვერდით შეუდგნენ ახალი კედლების ამოყვანას, ხოლო კულტსახლისათვის მოტანილი სამშენებლო მასალა „დროებით“ მოათავსეს კლუბის ძველ შენობაში.

ასე გადაიქცა მუხრანელთა საამაყო კლუბი სამშენებლო მასალის—აგურ-კრამიტისა და ხე-ტყის საწყობად.

მას შემდეგ ორი წელი გავიდა. მშენებლობა ერთ წერტილზე გაიყინა. სამი ახალამოყვანილი კედელი უპატრონოდაა მიტოვებული, ხოლო მისი სახურავი ძველ კლუბშია „დროებით“ გამოკეტილი.

კლუბის თანამშრომლები?—იკითხავ შენ.—ისინი ხომ სასოფლო საბჭოში გადასახლდნენ, იქ ამოქმადდნენ და ელიან ახალ კულტსახლს. ელიან... და გამოადის ასე: ძველ კლუბში დაზიანებულ სახურავიდან თოვლი და წვიმა ჩადის. ახალი შენობა უძრავ წერტილად იქცა. ხალხი კულტურულ მომსახურებას მოითხოვს, ხოლო საბჭოს მესვეურები კი...

რას იტყვი, მუხრანის სასოფლო საბჭოს მესვეურების გულდაგულ მუშაობაზე, ძნელ ნიანგო?

გ. მცხეთელ-მუხრანელიძე

თუ შენც არ დაგვეხმარე, ნიანგო!



თბილისის საავიჯო კომბინატის მუშების დიდი კოლექტივის დიდი სიყვარულით სარგებლობს კომბინატში გამოშვებული „ნიანგი“.

საქმიან კრიტიკას იტყვი, ნაკლის მხილებას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას—ყველგან თავი ისახელა იუმორისა და სატირის ამ ჩვენმა ადგილობრივმა ორგანომ. — დიდი ნიანგის კარგი თანამშემწეა, — ხშირად იტყვიან მუშები.

მაგრამ თანამშემწეც არის და თანამშემწეც. აქაო და შინაური ხარო, მის სიგნალებს, მხალეებს და მოთხოვნას ყური შეაჩეია ჩვენი კომბინატის ადმინისტრაციამ; მთელი რიგი მოსაწყისრიგებელი საკითხები დაგროვდა. შენ გელით, ახსნავა ნიანგო, თუ შენც არ დაგვეხმარე. მათი მოწყვრიგება რთულდება.

გვეწვიე დღისით, თორემ ჩვენსავით ხომ სიბნელეს შეჩვეული არ იქნები? ჰო, დასალეგ წყალსაც თან რომ წამოიღებდე—ცუდი არ იქნება, წინასწარ შეურიგდი იმასაც, რომ ჩვენს საერთო საცხოვრებელში ანტიკომბინატარია დაგვხდება.

ჩვენს გამოსასწორებელი!



შენც ხომ გახსოვს, ძვირფასო ნიანგო, ამ წამდინიწი წლის წინათ ჩხარის რაიონს — თერჯოლის რაიონი ეწოდა. იგულისხმებდი, რომ რაიონის ყველა ორგანიზაციას ჯეროვანად შეეცვალა სახელიც და ბეჭედიც.

მაგრამ ჩვენი რაიონის ბევრ სკოლას ეს არ შეხებია, მათ ძველ ბეჭდები და შტამპები შემორჩათ.

აი, აძლევს ცნობას თერჯოლის რაიონის სოფ. ძვირის შეიდწლიანი სკოლის დირექტორი თავის მოწაფეს და ადასტურებს მას ბეჭდით. მოწმობის ტექსტში სწერია, რომ სკოლა თერჯოლის რაიონისაა, ხოლო ბეჭედი და შტამპი გვიმტკიცებენ—იგივე სკოლა ჩხარის რაიონს ეკუთვნისო. მრავალ შემთხვევაში წამოიჭრება გაუგებარი კითხვა: რაიონის ცენტრი თერჯოლა შედის თერჯოლის რაიონის დაბა ჩხარში, თუ დაბა ჩხარი შედის თერჯოლის რაიონში?

ვლ. გაბრიჭიძე



მჯობნის მჯობნი არ დაიღვა

- რაო, მაყვალა, რა ვითხრა მკითხავმა?
- რაო და, უყვარხარ, შენზე გიუღება, მაგრამ ბოლო მაინც ერთი არა გაქვთ!
- მაგაზე დარღობ? ხვალ უკეთეს მკითხავთან წავიყვან!

ერთი შეხებით

ამ ბოლო დროს ფეხბურთელთა შორის დაინერგა წვრთნის ახლებური მეთოდი—ერთი შეხებით, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. ამ მეთოდის ფართოდ გავრცელებას თბილისის ყოფილი მწვერვალური ცხოვრებაშიც ნაკლები შედეგი როდი ნიშნულია, ვიდრე ფეხბურთში. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში:

● ტროლეიბუსის ქურდობაცაცებს „ზემელიდან“ კიროჩანმდე მგზავრობისას ერთი შეხებით აუტკლიათ ნოქალაქისათვის აწვიდან საათი, ჯიბიდან—ფული, გვერდიდან—ჩენოდანი.


● „ნალიძის წყლებთან“ ერთი ახალგაზრდა სანჯერ შეხებია ნოქალაქის ცხვირს. ვინაიდან აქ აშკარა დარღვევის ჰქონდა ადგილი, ნილიციელს მაშინვე შეუჩერებია თამაში. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, ზოგიერთები კარგად ვერ დაუფლებიან ამ მეთოდს.

● ნალაზის გამყიდველებმა, თურმე, გუნებაში გაიცივნეს, როდესაც ნათ ამ ახალი მეთოდის შესახებ უამბეს.—თქვენ ეს ახალი რამ გგონიათო,—უთქვამთ მათ.—ჩვენ კი დიდი ხანია სასწორზე ერთი შეხებით საქმეს ვაკეთებთო...

ასე რომ, ფეხბურთელთა პრიორიტეტი ამ საქმეში გაუქმებულია შეიძლება ჩაითვალოს.

მეთოდი—ერთი შეხებით თანდათან პოპულარული ხდება.

ა. ნადაკაია
ბ. ჯამბაქური



რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 4, ხელმოწ. დასაბ. 1/III-1957 წ. ქალ. ზომა 70 X 103 1/8, 0, 5 ნაბ. ფურც. 1,37. ფურადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეჯ. № 75. უფ. 00117 ტირ. 25.000.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის
საქალაქო საბჭოში მშრომელთა განცხადებებს
უყურადღებოდ ეკიდებიან
გაზეთებიდან



ნახ. გ. ლომიძისა

— ამის შემხედვარე კიდევ იტყვიან—ქიქიკო უხაკმაო!